2-10241/21
26-07-2021

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ კახაბერ კუჭავას

ბატონო კახაბერ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევებისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე მათი შესაძლო გავლენის გამოსაკვლევად, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 17 თებერვლის 238-IVმს-Xმპ დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია.

მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზებისა და დამუშავების შედეგად, საგამოძიებო კომისია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეკომენდაციას უწევს საქართველოს პარლამენტს განახორციელოს შემდეგი სახის საკანონმდებლო ცვლილებები:

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებით განისაზღვროს საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის შეზღუდვა ვადით ერთიდან ორ წლამდე. შესაბამისად, საქართველო ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28-ე მუხლის, მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი: „საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის შეზღუდვა ვადით 1-დან 2 წლამდე“;

2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებით განისაზღვროს თანამდებობიდან გათავისუფლება და კომისიის რიგით წევრად დატოვება. შესაბამისად, საქართველო ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28-ე მუხლის, მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი: „საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) თანამდებობიდან გათავისუფლება და კომისიის რიგით წევრად დატოვება“.

3. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორებისთვის საქართველო ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 87-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია გაორმაგდეს და ნაცვლად მოქმედი ჯარიმის 500 ლარის ოდენობისა, განისაზღვროს 1 000 ლარის ოდენობით.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე
გივი მიქანაძე